№ 93. 29 აპრილი, ქვირა. 1866—1884 29 აპრილი, ქვირა. № 93.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე, რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი პირველის მაისიდან წლის დამლევამდე 7 მანათი.

თავადი პატარა ვახტანგ ვახტანგის-ძე ორბელიანი აცნობებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ პირველს მაისს, დილის 10 საათზედ, სიონის საკათედრო სობოროში გადაიხდება ნახევარ წლის მოსახსენებელი წირვა მისის მეუღლის კნეინა ეკატერინე ვასილის ასულის გარდაცვალებისა. (1—1)

არწრუნის თეატრი

დღეს, 29 აპრილს

ქართული დრამატიული დასის არტისტები: მ. მ. სოფარელისა, ნ. მ. გაბუნია, ვ. ბაშიძე, ა. მოხეევ, ა. ცაგარელი და სხვ.

გამართავენ წარმოდგენას.

I

მშვენიერი ელენეს მაძიებელნი

ფარსი 2 მოქმედ. გადმოკ. ა. ცაგარლისაგან.

II

სატაგელი

ოპერეტა 2 მოქმედ. გადმოკ. დ. მრისთვისაგან.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

«დროების» ტელეგრაფი 29 აპრილი.

სალაღობოდ.

ბედის ვარსკვლავისაგან გალალებულმა ნაპოლეონ I ერთხელ შეჰყვირა: «ეჰ, რატომ არ დამეკითხა ღმერთმა ქვეყნის გაჩენის დროსაო!» ამის თქმას მარტო ნაპოლეონისთანა დიდ-კაცებს თუ აპატივებს კაცობრობა და მისი ისტორია, თორემ ჩვენისთანა ციდამტკაველებს ამ გვარის ნატვრისათანავე «მრავალთა სიაში» შეიტანდენ დალოცვილები იმ რიგივე სიამოვნებით, რა სიამოვნებითაც სათათრეთში ყოველივე პატიოსანი, გონიერი და ქველი კაცი შეაქვთ მაენე ბირთი სქემაში და აბარგებენ იქ, სადაც, პოეტის თქმისა არ იყოს, «მზე არა მზეობს მზესავით, დარიც არ დარობს დარულად!»

ასე გახლავთ ეს ამბავი, ჩემო ბატონო, სულ ნამდვილი და დასტური. მაშ, ჩემდა თავად, დღეს დღეობით ვინატრი ერთს: რომ მკითხველი დარწმუნდებოდეს, რომ თუ მე და ჩემი მეინახეები, სასურველნი მოსაუბრენი, გონებითნი მახარობელნი და გრძნობათა ამხსნელნი—ამისთვის სრულიად არავითარი სამდურავი არ გვეკუთვნის, ჩვენი ბრალი აქ სრულიად არაფერია, გარდა იმისა, რომ «სათქმელი ბევრი გვაქვს», როგორც მურავანკოს მეფობის დროს უთქვამს ერთს თევზს. სწორედ ისე... «ვინაითგან» «რადგან» „რომ“... დრონი და ჟამნი მეფობენ... მაშ ყურად-იღეთ და გულისხმა-ჰყავ ეს გარემოება და მომისმინე, ჩემო გაბუტულო მკითხველო, რაზედაც ლაღობა დაგიწყო. მაგრამ წინ-და-წინვე უნდა გაგამხილო, რომ ვერაფერს ვერ გეტყვი ადმინისტრაციაზე, სამღვდელოებაზე, სწავლა-განათლების საქმეზე, პოლიტიკურსა და სოციალურს საგულისხმიერო საგნებზე, დიდს ქურდებზე და ავაზაკებზე... აქ ყველაფერი თავის წესზე მიდის და რა ჩვენი საქმეა სხვა საქმეში გარევა?—მაჰ, მაშ რალა ჯანდაბაზე გინდა მელაღობო! შემომძახებს განცვიფრებული მკითხველი და გამაწყვეტინებს იმ საგნების ჩამოთვლას, რომელზედაც საუბარი დღეს მასთან ჩემგან და ჩემს მეინახეებისაგან მეტიჩარობად ჩაგვეთვლება... ამიტომაც მოგახსენე, მოწყალეო ბატონო, «ლაღობა» და არა «საუბარი», «მუსაიფი» ანუ «მასლაათი»... ამ სამის უკანასკნელისათვის ამ ჟამად მწერლობაში ერთობ სხვა დარი დგას, სხვა ქარი ჰქრის... ლაყბობისათვის კი სულ სხვა საქმეა! სოლოლაკის პატარძლები გვეუბნებიან: „რამდენიც თქვენს სულსა და გულს ნებავს, იმდენი ილაყბეთ, ოღონდ კი თავი დაანებეთ დღეის ვარამზე, წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე ტრაქტატების წერას და საუბარსა.“ მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ ასე სჯობს! ჰო, კეთილი და პატიოსანი, მოვსდგეთ და ვილაყბოთ აქითურზე, იქითურზე, ნახულზე და გაგონილზე! მხოლოდ იმ პირობით კი, რომ არ გადავსცდეთ იმ ფარგალს, რომლის შუა შეგვიძლია მხოლოდ ქალმის ხმარება...

ხომ გახსოვთ, რა გაცხარებული ლაპარაკი იყო შარშან (შემოდგომაზედ და ზამთარში) ომიანობაზე, რომელიც გაზეთების პოლიტიკოსების აზრით ამ გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო? უთუოდ გემახსოვრებათ. ყველაზე მეტად ამ მოსალოდნელმა ომიანობამ ოსმალეთი შეაშინა, ანუ, უკედ ესთქვათ, შეაშინა მისი მშიშარა, მხოლოდ კეკ-მალულაში გართული ხონთქარი აბდულ-ჰამიდი, რომელმაც იფიქრა: „ბიჭოს! თავად ძლიეს-ძლიეობით ვიმაგრებდი ჩემს ტახტს, თავად ღდინში ჩამსდგომიან რალაც იდეებით გახელებული სოჭტები და თითქმის მთელი ხალხი ჩამციებია ხელ-ახლავ აღადგინე მურად V-საგან გამოცხადებული კონსტიტუციაო (თუ რალაც ჯანდაბა არის), ე. ი. ხელი აიღე ალახისაგან ბოძებულს ხელმწიფებისაგანაო, და თუ ომი ასტყდა, რომელშიაც მეც დამარცხება და ეგვიპტეში მშვიდობიანობის აღდგენა, ამბობს შემდეგ ექვსის თვის განუწყვეტელის ბრძოლისა უხვეიროდ აღჭურვილთა მაჰმადიანთა და საუკეთესო ევროპის ჯარისა და სამხედრო ღონისძიებათა შორის! მთელი დიდი ქალაქი, რომელშიაც 50,000-ზე მეტი მცხოვრებია, რომელთ შორის ათი ათასი კაცი მაინც ევროპიელია, ეგვიპტის დამცველმა უპატრონოდ უნდა დააგდოს და მაჰმადიანთა გაბრაზებულს ფანატიზმს ხელთ მისცეს!

ეს ისეთი მომენტია ეგვიპტის ეხლანდელს ცხოვრებაში, რომ უნებლიედ შეჩერდება კაცი და განვლილს გზას გადაავლებს თვალს. ისტორია თვით არის საუკეთესო მსაჯული ხალხთა ცხოვრებისა და მოქმედებისა. ინგლისის მონაწილეობის ამბავი ეგვიპტის საქმეებში თვითვე მოგვცემს ზნეობით დასკვნას იმ საზარელის ომიდან, რომელიც ეხლა ნილოსის ნაპირებზეა გაჩაღებული.

ინგლისს ეგვიპტის დაპყრობა უნდა—ეს არის დედა-აზსი ეხლანდელის სუდანის ბრძოლისა, ეს იყო დედა-აზრად არაბი-ფაშის დამორჩილებისა ამ ორის წლის წინად. სუეცის კანალი... მდიდარი ეგვიპტე... ბრიტანიის ინტერესი... სისუსტე და პოლიტიკური ულონობა ოსმალოს იმპერიისა—აი რაზე ჰფიქრობს ბლადსტონის კაბინეტი, რაზე უფრო მომეტებულად ჰფიქრობდა განსვენებული ბიკონსფილდი და მისი მინისტრები.

არაბი-ფაშის აჯანყებამ შემოხვევა მისცა ინგლისს თვისი ჯარები გაეგზავნა ეგვიპტეში. რა კი მათ ფეხი შედგეს ამ ქვეყანაში, ინგლისის მმართველობას გაუტკბა იქ ყოფნა და შინ დაბრუნება სულ გადაავიწყდა. რამდენჯერმე მოაგონეს სხვა სახელმწიფოებმა—დრო არის შინ წაბრძანებისაო. მაგრამ ინგლისმა ყური წაიყრუა და გამოაცხადა, რომ მხოლოდ მაშინ წავა ეგვიპტიდამ, როდესაც იქ სრული მშვიდობიანობა იქნება აღდგენილი.

წარსულს შემოდგომაზედ ინგლისს თავისი გულისა დაემართა. გამოჩნდა მაჰდი, ცრუ-წინასწარმეტყველი, როგორც უწოდებენ იმას, რომელიც «გიაურების» განდევნას აპირობს სამაჰმადიანოდამ. ამ კაცმა შეჰყარა ათასი და ათი ათასი არაბები და ნეგრები, იმათ ურიცხვი სხვა მაჰმადიანები მიემატა და ეგვიპტის ჯარებს დაუწყო ბრძოლა.

ინგლისსაც ეს უნდოდა. მხოლოდ, მისდა საუბედურად, ჯერ არაფერი ძალა-უნებურად უნდა მივიღო მონაწილეობა, ხომ ამოჯანყდენ მაშინ ყველა შინაური მტრები, ხომ ბოლოს მომმილებენ გარეშენიც და ხომ დამეკარგა ტახტი, დავილუპე ხონთქარი სვანია?.. წარსულს ომიანობაში მარტო რუსეთს ძლიეს გადაეურჩი და ეხლა ინგლისიც, ეს ჩემი მცბიერი მეგობარი, მას ემხრობა და რალა გადამარჩენს??? ამ გვარის უიმედობის ფიქრებით შეშინებულმა და შეძრწუნებულმა აბდულ-ჰამიდმა განსაკუთრებულის მინდობილებით გააგზავნა ელჩად მუხთარ-ფაშა (რომელიც თბილისელთაც სტუმრობას გვიპირებდა) ლონდონში, ბერლინში და შენაში უმდაბლესად თავის დასაკვრელად და ყველაფრის დასათმობლად, რაც კი მისს მტრებს უნდოდათ... დაუთმო იმდენად და იმ ზომამდის, რომ არა თუ ოსმალეთისთანა დიდ სახელმწიფოისათვის, არამედ სერბიისა და ჩერნოგორიისათვისაც შესარცხვენად და სახელმწიფო თავ-მოყვარეობის დაჩაგვრადჩაითვლებოდა იმისთანა დათმობა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, გარეშე მტრები გაუჩუმდენ და მოასვენეს... გარეშე მტრებთან მორიგებულმა ხონთქარმა მთელი თავისი ყურადღება მიაქცია შინაურ «მტრებს», რომელთ შორის ითვლებიან მთელი მისი სახონთქროს თითქმის ყველა უკეთესნი წა-

არაბი-ფაშა

ეგვიპტეში

რა მდგომარეობაშია ეგვიპტის საქმე

თბილისი, 29 აპრილს.

ამ დღეებში დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში ბორდონის დეპეშა, რომლითაც იგი აცნობებს ინგლისის კაბინეტს, რომ მისი საქმე ძლიერ ცუდად დატრიალდება, თუ დროზე ჯარები არ მიაშველეს ხართუმში გასამაგრებლად. სუდანის დიქტატორი იწერება, რომ უახალ-ჯაროდ იმას არ შეუძლიან ამ ქალაქში დარჩენა და იძულებული იქნება ქვემოთ ეგვიპტისკენ წაიყვანოს თვისი ეხლანდელი სამხედრო ძალაც. ამაზედ ის დასძენს, სხვათა შორის, რომ მაჰდის დამშვიდება ძლიერ გაუჭირდება ინგლისსაო.

ამას ამბობს ინგლისის გენერალი, რომელსაც მინდობილი აქვს მაჰდის დამარცხება და ეგვიპტეში მშვიდობიანობის აღდგენა, ამბობს შემდეგ ექვსის თვის განუწყვეტელის ბრძოლისა უხვეიროდ აღჭურვილთა მაჰმადიანთა და საუკეთესო ევროპის ჯარისა და სამხედრო ღონისძიებათა შორის! მთელი დიდი ქალაქი, რომელშიაც 50,000-ზე მეტი მცხოვრებია, რომელთ შორის ათი ათასი კაცი მაინც ევროპიელია, ეგვიპტის დამცველმა უპატრონოდ უნდა დააგდოს და მაჰმადიანთა გაბრაზებულს ფანატიზმს ხელთ მისცეს!

ეს ისეთი მომენტია ეგვიპტის ეხლანდელს ცხოვრებაში, რომ უნებლიედ შეჩერდება კაცი და განვლილს გზას გადაავლებს თვალს. ისტორია თვით არის საუკეთესო მსაჯული ხალხთა ცხოვრებისა და მოქმედებისა. ინგლისის მონაწილეობის ამბავი ეგვიპტის საქმეებში თვითვე მოგვცემს ზნეობით დასკვნას იმ საზარელის ომიდან, რომელიც ეხლა ნილოსის ნაპირებზეა გაჩაღებული.

ინგლისს ეგვიპტის დაპყრობა უნდა—ეს არის დედა-აზსი ეხლანდელის სუდანის ბრძოლისა, ეს იყო დედა-აზრად არაბი-ფაშის დამორჩილებისა ამ ორის წლის წინად. სუეცის კანალი... მდიდარი ეგვიპტე... ბრიტანიის ინტერესი... სისუსტე და პოლიტიკური ულონობა ოსმალოს იმპერიისა—აი რაზე ჰფიქრობს ბლადსტონის კაბინეტი, რაზე უფრო მომეტებულად ჰფიქრობდა განსვენებული ბიკონსფილდი და მისი მინისტრები.

არაბი-ფაშის აჯანყებამ შემოხვევა მისცა ინგლისს თვისი ჯარები გაეგზავნა ეგვიპტეში. რა კი მათ ფეხი შედგეს ამ ქვეყანაში, ინგლისის მმართველობას გაუტკბა იქ ყოფნა და შინ დაბრუნება სულ გადაავიწყდა. რამდენჯერმე მოაგონეს სხვა სახელმწიფოებმა—დრო არის შინ წაბრძანებისაო. მაგრამ ინგლისმა ყური წაიყრუა და გამოაცხადა, რომ მხოლოდ მაშინ წავა ეგვიპტიდამ, როდესაც იქ სრული მშვიდობიანობა იქნება აღდგენილი.

წარსულს შემოდგომაზედ ინგლისს თავისი გულისა დაემართა. გამოჩნდა მაჰდი, ცრუ-წინასწარმეტყველი, როგორც უწოდებენ იმას, რომელიც «გიაურების» განდევნას აპირობს სამაჰმადიანოდამ. ამ კაცმა შეჰყარა ათასი და ათი ათასი არაბები და ნეგრები, იმათ ურიცხვი სხვა მაჰმადიანები მიემატა და ეგვიპტის ჯარებს დაუწყო ბრძოლა.

ინგლისსაც ეს უნდოდა. მხოლოდ, მისდა საუბედურად, ჯერ არაფერი

ხეირი დაეყარა მას. მაჰდი არაბი-ფაშაზე უფრო ძლიერი გამოჩნდა.

ნოემბერში, ხართუმის ზემოდ, მაჰდიმ მთელი ეგვიპტის ჯარი დაამარცხა. ამ შეტაკებაში დაიღუპა 11,000 კაცი, თავისი კომანდირით (ინგლისელი ბიქს-ფაშა), შტაბით (ინგლისის ოფიცრები), კორესპონდენტებით და სხვ.

თებერვალში, არაბეთის ზღვის ახლო, მაჰდიმ ხელ-ახლა დაამარცხა ინგლისის სახელი. ამ შეტაკების დროს ეგვიპტისა და ინგლისის მხრით 6,000 კავალერია და არტილერია იყო. მაჰდიმ დაამარცხა მტერი, წაართვა ზარბაზნები და გააქცია ჯარის უფროსი ბეკერ-ფაშა (ინგლისელი).

საცა კი მაჰდი გამოჩნდებოდა, ყველგან ქალაქებისა და სოფლის მოსახლობა მის მხარეს იჭერდა. მისი ჯარი თან და თან მატულობდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ეგვიპტის სატახტო ქალაქს—ქაირს—გაუხდა საქმე საფიქრებლად.

ინგლისში ამ გვარმა სახელის დამამცირებელმა დამარცხებამ დიდად აღძრა საზოგადოება. გაზეთები და პალატები ჰკიცხავდენ გლადსტონის კაბინეტს, რომელიც ვერ იქცეოდა ენერგიულად. რადგანაც ინგლისის სახელი გარეული იყო სუდანის ომში, უფრო სიფრთხილით უნდა მოქცეულიყვნენო, ამბობდა საზოგადოების ხმა.

სამხედრო რჩევამ მაშინ გადაწყვიტა გაეგზავნა ეგვიპტეში გენერალი გორდონი, კაცი ყოველის მხრით შესანიშნავი. ამას მისცეს 2 მილიონი ფული და სრული უფლება მოქცეულიყო ისე, როგორც თითონ დაინახავდა საჭიროდ.

სუდანში გორდონმა უფრო დიპლომატობას მიჰყო ხელი, ვიდრე ბრძოლას. უნდოდა ფულით ეყიდა ყველაფერი: გული სული, სინიდისი სუდანის მოსახლე ხალხისა. მისვლისათანავე მცხოვრებლების გულის მოსაგებლად იმან აპატიეა ყველას, რაც რამ სახელმწიფო ვალები ჰქონდათ, ჩამოხადა კარი საპატიმროებს და გაათავისუფლა ტუსაღები და აღადგინა კაცთა შემარცხვენელი ნეგრებით ვაჭრობაც (კაცის გაყიდვა). ხართუმმა დიდის სიხარულით მიიღო ესრეთი კეთილის-მყოფელი. გორდონს ილიუმინაცია გაუკეთეს ქალაქში და, როგორც მოწყალე კაცს, ხელებსა უკოცნიდენ...

ტკბილის ენით და დიპლომატიურის მიწერ-მოწერით გორდონმა მაჰდის დამორჩილებაც განიზრახა. იმან მისწერა მეგობრული წერილი «ცრუწინასწარმეტყველს» და ქორდოფანის სულთანობა უწყალობა, თუ შეაყენებდა თვის ჯარს... მაჰდიმ ამის პასუხად შემოუთვალა: «ნუ სწუხდებით, ქორდოფანს მე თითონ ავიღებ და თუ თქვენ ჩემი ნახვა გინდათ, ჯერ მაჰმადიანობა მიიღეთ და შემდეგ მზად ვარ თქვენის სამ ახურისათვის».

ენიფ რომ ვერა გააწყორა, გორდონმა ხმალს მოჰკიდა ხელი, გარნა ხმალმაც უმტყუნა. 16 წარსულს მარტს 3000 კაცით და ზარბაზნებით გალაშქრდა იგი ხართუმიდამ იმ ადგილისკენ, საცა მაჰდი არის, მაგრამ იძულებული შეიქნა ისევ უკან დაბრუნებულიყო, რომ თითონ მაჰდის უმთავრესს ძალას არ შეტაკებოდა.

ეხლა, როგორც ვთქვით, ამ წერილის დასაწყისში, გორდონი ძლიერ საშიშ მდგომარეობაში არის. მაჰდი მოუახლოვდა სუდანის სატახტო ქალაქს დიდის ჯარებით და გორდონს კი იმდენი ჯარები არა ჰყავს, რომ ქალაქი გაიმაგროს.

ამ გვარად ფუჭი გამოჩნდა ჯერ-ჯერობით ინგლისის მეცადინეობა მაჰდის დამორჩილებაზე. მარტო ერთ-ჯერ, ქ. სუაკიმთან, დაამარცხეს მაჰდის მომხრე ჯარები და გააქციეს მათი მოთავე ოსმან-დიჰმა, მაგრამ ამით მაჰდის ძლიერებას არა დაჭკლებიარა და ევროპის ჯარები კი, როგორც ეხედავთ, ცდილობენ, თავს უშველონ როგორმე.

რადა? ნუთუ სამხედრო საქმეებში გაუწრთენელს არაბს, ან ნეგრს შეუძლიან გაუმაგრდეს ინგლისის არტილერიის ან კავალერიის ძლიერებას? ნუთუ შესაძლებელია ძველებურად, რომ აზიის და აფრიკის ხალხებმა გაიმარჯონ ევროპის ხალხებზე?

ყოველ შემთხვევაში მიზეზი ინგლისელების ორ-პირი პოლიტიკა არის. იმათ ვერ გაუბედნიათ გამოაცხადონ საქვეყნოდ, რომ ეგვიპტის დამონება სურთ და რაღაც ნაირ ქვეშ-ქვეშა, «ოფიციოზურ» ომს ეწევიან, რომელიც არც ომს ჰგავს და არც დახმარებას, რომლის წყვდიადშიაც მხოლოდ ერთს სინათლეს ხედავს კაცი—ინგლისის სურვილს ყური მიუგდოს ევროპის სახელმწიფოების ხმას, გადააჩოჩოს დრო, იპოვოს მარჯვე შემთხვევა და დაისაკუთროს ეს აღთქმული ქვეყანა ისე, რომ ახალუბ შეეცილიოს, არავინ აუტეხოს შულლი. მარტო ამ ორი-სამი წლის ეგვიპტეში მყოფობას უსარგებლოდ არ ჩაატარებს «ანგარი ალბიონი», სხვა რომ არა იყოს რა!

მაგრამ ვინ იცის, მაჰმადიანების გაგულიანებას და იმათ ძლევას რა შედეგი მოჰყვება მომავალში. ვინ იცის, სადამდის წავა მათი რელიგიური თავგანწირვა, რა დიდი სისხლი დაიღვრება, თუ ალმართეს წინასწარმეტყველის მწვანე ბაირაღი და ჭრისტეს და მაჰმადის თაყვანისმცემელნი შეიბნენ?

ან რას ერჩიან საწყალ მაჰმადიანებს თვის ქვეყანაში, თვის სახლ-კარში? ვის რა დაუშავეს იმათ, ვის რა ვირი მოჰპარეს? იმათაც უნდათ ცხოვრება ამ წუთი სოფელში ისე, როგორც უცხოერნიათ იმათ წინაპრებს, და რა გასაკვირველია, რომ იმათაც სურვილი ჰქონდეთ ცოცხალნი პირში არ ჩაუცვივდენ გაუმაძღარს ინგლისს. ნუთუ ისტორია მართლა უბრალო «ცხოვრებისთვის ბრძოლა» არის და არა სხვა რამ კეთილ-შობილური სულიერი განვითარება კაცობრიობისა, რომელშიაც მძლავრი სუსტს არა სჩაგრავს, დიდი პატარას არა ჰყლაპავს, უსამართლოება ჭეშმარიტებას არა სთრგუნავს?.. თუ ყველა ეს მაღალი სიტყვები თანამედროვე ევროპიული განათლებისა უბრალო სიტყვები არის, რომელთაც საქმით განხორციელება არ ეღირსებათ არაოდეს?..

მოსამადგენელნი. აქ კი, მორიგებით საქმის გათავება მისგან (მისივე აზრით) ყოველად შეუძლებელი იყო. ამ ცრუ შეხედულებამ საქმის გარემოებაზე დაღუპა მისი ბედი: მას რომ აესრულებინა, რასაც ქვეშევრდომთ უკეთესი ნაწილი სთხოვდა (მურად V ქონსტიტუციის ხელ-ახლავ შემოღებას), მაშინ მისი სამფლობელოის ნიეთიერი შეძლება და სახელმწიფოებრივი ძალიც ერთი-ასად იმატებდა, ზემოხსენებულსავით დასადაბლებელი დათმობა გარეშე მტრებთან აღარ დასჭირდებოდა, თხა და მგელი ერთგან თუ ვერ მოსძოვდა, კაცი კაცურად მაინც იცხოვრებდა მისს სახონთქროში და თვით მას აღარ მოუხდებოდა ყოველ წამს სიკვდილის ლოდინი, შიშით მალვა ილდიზ-ქოშკში *), ღამე უძილობა და დღე თავის გადარჩენაზე ზრუნვა... მაგრამ აბდულ-ჰამიდის კოსრო მწყრალად ბძანდება სახელმწიფოებრივის ცხოვრების ფაქტებზე ამისთანა გონიერს შეხედულებასთან... ამის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ბაღდადის ხალიფთა მემკვიდრე შაჰინ-შაჰმა **) ხელი მიჰყო დეენას ყველაფერის უკეთესის გონებითის და ზნეობითის მხრით რაც კი იყო და არის ოსმალეთში... ჯერ სამუდამოდ განდევნა მამულიდამ წარსულ ომიანობაში სახელ განთქმული სარდალი, მამულის უკეთესს შვილთაგანი ოსმან-ფაშა; შემდეგ პატიმარჰყო არაბეთის უდაბნოების სატუსაღოებში საუკეთესო სოფტები და ხელი მიჰყო დრო გამოშვებითი მწერლობის ორგანოთა მოსპობას საგანგებო ლონის-ძიებით...

ფიზიკური კანონია, რომ ყოველივე მოქმედება იწვევს თანაბარს წინააღმდეგობას. ამასვე ეხედავთ ოსმალეთის სახელმწიფოებრივს ცხოვრებაშიაც: აბდულ-ჰამიდის უკულმართობამ მთელს მისს სამფლობელოში გამოიწვია მოწაღმართე დასის იდეათა გავრცელება, შეჰმატა ამ დასს ძალა და ბევრნი იმისთანა მომხრენი, რომელნიც, თუ არ ხონთქრის უკიდურესი უკულმართობა, წინააღმდეგნი იქნებოდენ მოხსენებულის დასისა, და, დასასრულ, მოამზადა ნიადაგი დედა-აზრისათვის თავ-განსაწირველად. მართალია, ყველაფერი ეს ერთის შეხედვით ძნელი შესანიშნავია, მაგრამ მალე დაჭკრავს ის წამი ხონთქრის ბედის წერისა, როდესაც მოწაღმართეთა თაოსნობით მთელი ოსმალეთი, ეთარცა ერთი კაცი, გამოვა ბრძოლის ველად თვისთ დათრგუნვილ უფლებათა დასაცველად, დაანარცხებს და ნიაღვარსავით წალეკავს შაჰინ-შაჰის ძლიერებას, კვლავ გამოიყვანს ასპარეზზე გამოჩენილს ლიბერალს მითჰადფაშას და ბაში-ბუზუყურს ყალიბზე შექმნილს სახონთქროს გადაქმნის ფედერატიულ სახელმწიფოდ...

რასაკვირველია ამ დროს ყველა ევროპის სახელმწიფონი ჩაერევიან ოსმალეთის საქმეებში და კეთილშობილურად ხელს გაუწვდენენ (დასახმარებლად) მისს მოწაღმართე დასს, რომლის დროშაზე სწერია «ძმობა და ერთობა», და რომლის მოსწრაფებათა ყველაზე უფრო თანაუგრძნობს მორჭმულ-სვიანის ალექსანდრე III-საგან ბრძნულად განგებული ძლიერი რუსეთი. თუკი როდესაც აუარებელი მსხვერპლი იყო საჭირო მაშინ არ დაერიდა, რუსეთი თვისთა მოძმეთა (სერბიის, რუმინიის და ბულგარიის) განთავისუფლებას ხონთქრის აუტანელის გონებიდამ, რაღა თქმა უნდა, მისს ჰანგზე მომქმედს ოსმალოს მოწაღმართე დასს რომ დაინახავს ასპარეზზე, მაშინვე შეეწევა მას, უმეტესად რუმელიოტების და ბოსნიელებისთვის ავტონომიის მისანიჭებლად... სწორედ ეს არის გამოთქმული, თუმცა ლაკონიურად იმ ნათარგმნს ოსმალურს ლექსში, რომელიც მოჰყავს ერთ-ერთის რუსული გაზეთის სტამბოლელ კორესპონდენტს:

აწვება, ვით მაჯლაჯუნა
ოსმალეთს მის «ლანგთემური»:
სადაც სუფევს ჭკვა-გონება
მას სურს დასცეს იქ თავ-ზარი!

ჯერ-ჯეროობით თუმც ისრულებს
ამ ავაზაკურს სურვილსა,
მაგრამ მალე მისი სისხლით
ერთი მოიკლავს წყურვილსა!

მართალია, გაუჭირა
მათ სიცოცხლე შინ და გარედ,
მაგრამ თვითც ალაჰის-მადლით
დღეთ ატარებს უფრო მწარედ!

ჭეყანა მას კისერზედა
მოაჯდება ნიშნის გებით,
მისი ხალხნი ბუკს დაჰკრავენ
საერო თავისუფლებით!

დაიყოფენ მისს სამკვიდროს
ყველა ერი თვის-თვისადა,
ლანგთემური დამირჩება
ამარი თვის ყურისადა!

სხვაზე უფრო გაიხარებს—
რა თქმა უნდა—მაშინ რუსი,
მისგან კვლავად გაიფანტვის
დამონებისა ბურუსი!

ჯ.

---

*) მისი ერთი სასახლეთაგანია.

**) ხონთქრის ტიტულია, ნიშნავს მეფეთ-მეფეს.

შინაური ქრონიკა

= ყვარელიდამ გვატყობინებენ, რომ იქ ყვავილი გაჩენილა და რამდენიმე სული კიდევაც უმსხვერპლია.

= ამ ზამთარმა საშინელი დაღი დაასვა საქონლის პატრონებს. მარტო შირაქში მყოფ საქონელში სამი-ათას სულამდე ცხვარი და ბატკანი გამწყდარა და ათასამდე ცხენი და სხვა საქონელი. ამის მიზეზით ხორცეულობა ძალიან გაძვირებულა. ახლა კიდევ რაღაც კალიის მზგავს მწერი გაჩენილა მინდვრებზედ და ვენახებში და ამოსვლისათანავე ავნებს მოსავალს. მინდვრებში ეს მწერი ჯერ-ჯერობით თურმე ბალახებში ბუდობს და ნახნავებზე არ გადასულა.

= მარტვილიდამ (სამეგრელო) გვწერენ: «6-ს აპრილს ღამით, ე. ი. დიდ პარასკევს, გასტეხეს ღუდის მაცხოვრის ეკლესია, რომელიც იმყოფება მარტვილის საბლალოჩინო მაზრაში, და გაიტანეს 19 მ. და 10 კ. ფული ყუთიანად. ქურდები შემოსულან საკურთხეველის ფანჯრიდამ, ტრაპეზზე ფეხი დაუდგამთ და სანაწილე წაუქცევიათ. სხვა ნივთი არაფერია წაღებული. მარტვილის პოლიციის პრისტავმა, ბ. ამაშუკელმა, მიიღო დაუყოვნებლივ ზომა ქურდების აღმოჩენისათვის და ეჭვი მიიტანეს ამავე სოფელს ღუდში მცხოვრებლებზე: გლეხ პაველე მამუკას-ძე ბობახიძეზე და ალექსი მიქელის-ძე გოდერძიეზე, რომელნიც კიდეც გამოტყდენ და ისიც დაუმატეს, რომ ქურდობა მოახდინეს ს. ბოროწინას მცხოვრების ათაია მალაქის-ძის ძუხალაშვილის შეგონებით. ფული იყოვო არა 19 მ. და 10 კ., არამედ ექვსი მანეთი. ეს ფული გაეყოთ მათ და კიდეც დაეხარჯათ აღდგომის დღესასწაულებში, კოლოფი კი ცხენის წყალში გადაეგდოთ. ორივე გამოტეხილი ქურდები დაჭარელნი არიან ციხეში, ხოლო მესამე ძუხალაშვილი ჯერ არ აღმოჩენილა. საქმე ყველა საბუთებით გარდაცემული აქვს ნაოლალეევის გამომძიებელს».

= ამ წლის პირველს მაისიდამ შესაძლებელი იქნება პირ-და-პირ საქონლის გზავნა მოსკოვსა და ბათუმს შუა ხარკოვზე და სევასტოპოლზე რუსეთის ნავსნობის საზოგადოების შუამავლობით. ამ გვარი გაადვილება ვაჭრობისა კარგია, მაგრამ საშიშია, რომ ნავსნობის უკანასკნელი საზოგადოება ჩვეულებისამებრ გაუმაძღრად არ მოიქცეს და იმოდენა ქირა არ დანიშნოს საქონელზე, რომ გააუქმოს ამ გვარი სასარგებლო ზომის მიღება.

= აქამდის ამიერ კავსასიის ქალაქებს ეძლეოდათ ყოველ-წლივ შემწეობა პოლიციის შესანახავად. ახლა მმართებლობის წრეებში აღუძრავთ ლაპარაკი იმის თაობაზედ, რომ ამ გვარი შემწეობის მიცემა მოსპონ („მოსკ. უწყ.“).

ამ დღეებში თელავისა და თიანეთის მაზრებში მიდიან მთავრობის განკარგულებით ორი ზემლემერი: ბ. ლაბადა და ფლორინსკი. ამათთან მიაქვთ 1864-სა და 1867 წლების საქმეები. იქ დარჩებიან ამ წლის ნოემბრამდე. ღმერთმა ინებოს, რომ ამათის შრომით მაინც არის შემცირებულიყოს მემამულეთა შორის უთანხმოება და ერთმანეთის წეწვა-გლეჯა.

«დროების» კორესპონდენციები

—

სოფ. შაქრიანი, 17 აპრილს. ყივანა ხველა იხადა სამოცზედ მეტმა, დღეს მხოლოდ შვიდიღა ავად. მადლობა ღმერთს, გადავრჩით ამ გაბრაზებულ სნეულებასაც ექიმების დაუხმარებლად... მხოლოდ «დროებას“ აწუხებდა ჩვენი მწუხარება, დაგვტრიალობდა თავზედ და არ ასვენებდა იმათ: «ქვეყანა და ქვეყნის საქმე ვისაც ფეხებზედ ჰკიდია“. ერთი მაინც ისე მოხრუკა, რომ არა თუ სამწერლო ასპარაზზედ გამოეყო თავი თვისის ქერქიდგან, არამედ უფრო ჩაძვრა ხალხიდგან «განაკრეჭ» თვის თულუფში!... თუმცა მისი «ზლუპოსანი» იმ დროს თავ-გამოდებული ამხნევებდა და ურჩევდა მამასახლისს ოფიციალური ქაღალდი გამოართვით, რომ იქ არაფერი სნეულობა არ ყოფილა წელსა და მერე რედაქციას ეუჩივლოთ დიფამაციაზედაო... აბა, ვინ ეყოლება აქ რედაქციას იმისთანა პირი, რომ ნამდვილად ოფიციალური დამტკიცება ხელში მისცესო; მაგალითად: ვის რამდენი ჰყავდა ავად, ვის რამდენი მოუკვდაო და სხვანი. ჩვენ კი ხელში ოფიციალური საბუთები გვექნება და შეგვიძლიან მთელს რედაქციას შიშის ზარი დავსცეთ თავზედ და მასთან კორესპონდენტსაც «ვირის აბანოში ამოვაყოფინოთ თავიო»...

ეს რჩევა მიიღეს და არც შეეძლოთ არ მიეღოთ, რადგანაც სხვა ნაირი კუდიანი «ზლუპოსანი» ბძანდება... ძარგად იცის, ამ გვარ შემთხვევებში როგორ მოიქცეს:— ვისთვის შვილი მოარჩენინოს «ესკულაპს» მუქთად, ვინ «სპევკაზედ» დაჰპატიჟოს, ვინ «მწვანე» სტოლზედ მოიწვიოს, ვინ გაჰკრიჭოს, ვის დაემუქროს. ამ ნაირად აქაურ პროვინციის «მალანადიოქნებს“ და ნესტან დარეჯნის სქესის «ზლუპუსნებს», როგორც უნდა, ისე ათამაშებს თავის ქეიფზედ...

დატრიალდა მათი «ჩარხი» უკუღმა და აფრინეს თელავიდგან სოფ. შაქრიანში ბოქოული, ბ. შ—შვილი, რა საკვირველია, ხალხის შესატუქსავად! გამოუგზავნეს ცალკე ბძანება გამოღმა მხრის მეორე ბოქოულს, რომელიც მაშინათვე დაიბადა შაქრიანში და მედგრად შეუდგა კორესპონდენტის ძებნას და ჰკითხულობდა: «ვინა სწერს, ან გაზეთი ვის მოსდისო?“ მაგრამ ხალხიც ისე ბრიყვი არ არის რომ, თავისი მოსარჩლე—მტრებში ვერ გაარჩიოს, და ერთ-ხმად დასძახეს:— არა ვიცით-რა, ბატონო, ვინ არის ჩვენი ქომაგი»...

ბათავდა საქმე. მოიგდეს ოფიციალური ქაღალდები ხელში; ეხლა ერთი აბლაკატილა ეჭირვებოდათ! მაგრამ აქ უეცრად შეაფერხა მათი უკუღმართი მოძრაობა ერთმა ამბავმა: მოჰკრეს ყურო, რომ რედაქციაში უკვე გაგზავნილი ყოფილა ყოველი სიმართლის დამამტკიცებელი საბუთები (თუმცა რედაქცია ხმას არ იღებდა ამაზედ); რაღა ვქნათ? გაცრუვდა «კუდიანი» „ზლუპოსნის“ ხრიკები... დარწმუნდენ, რომ რედაქციას ვერაფერს დააკლებენ, არამედ უფრო „ნიშადურ“ ამოცხებულნი წამობძანდებიან სადიფამაციო ასპარეზიდგან!..

რაც შეეხება თ-დი ნ. ჩოლაყაშვილის წერილებს, „ქავკაზში“ დაბეჭდილთ შაქრიანში ყივანა-ხველის უარ-ყოფაზედ, ბევრი სიცილი გამოიწვია ქალხეთში და უნებურად კაცს მოაგონედა ძველს არაკს: თურმე ერთი კაცი ქუჩაში შუადღისას ტანისამოსს იხდიდა და, რადგანაც რცხვენოდა გამვლელ-გამომვლელისა, თვალები დახუჭა და დარწმუნებული იყო, რაკი თითონ ვერავის ჰხედავდა—მეც ვერავინ დამინახავსო.

შაქრიანელი.

რ—ნი.. ბევრი რამ უკანონოება ხდება ამ ჩვენს რკინის გზაზედ ზოგიერთი ხნეობით გარყვნილ მოსამსახურე პირებისაგან, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვინც დაწერილებით იციან გარემოება, ესე იგი მოსამსახურე პირებმა, ვერ ბედვენ თავიანთ უფროსზე რაიმეს დაწერას და გამვლელ-გამომვლელები კი არ აქცევენ ყურადღებას. უმთავრესი გამგეობაც სასტიკ გამოძიებას საქმისას არ მოახდენს ხოლმე, არამედ მიანდობს ვინმე კონტროლიორთაგანს, რომლებთანაც თითქმის ყველა სტანციის უფროსები ცდილობენ იქონიონ დაახლოებული კავშირი და დიდს პატივსასცემენ, რასაკვირველია, შავის დღისათვის. ეს კონტროლიორი, გამოიძიებს თუ არა საქმეს, სწერს ესა და ესა პირი მართალი გამოდგა და მომჩივანი კი მტყუანიო. შემდეგ ამისა, რასაკვირველია, სტანციის უფროსები როგორც უნდათ, ისე მოექცევიან ხალხსა რადგან, ახლო სხვა უფროსი არა ჰყავთ და თვითონ ბატონობენ. მაგალითად: ჩვენს რ—ის სტანციაზედ არის ზედამხედველად ერთი რუსთაგანი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც აქ გადმოიყვანეს, მაგრამ ისე კი შეავიწროა იქ მყოფი მოსამსახურეები და მგზავრებიც, რომ ლამის ამ სტანციასთან კავშირზედ ხელი აიღონ. ეს ბატონი იწვევს თითქმის ყველა სტანციებიდგან მისს ნაცნობებს და მთელ ღამეებს ქაღალდის თამაშობაში ათევნებს ბუჭეტის ზალაში. ყველა ბუჭეტში მოსამსახურეები, ბასაკირველია, მას მსახურებენ მთელი ღამე. ამასთანავე თვითონ იგი და მისი მოწვეული სტუმრები სვამენ, სვამენ და ანგარიშს ვინ მოსთხოვს? მათვენებისას მასპინძელი ძალზედ მთვრალი ძლიეს მიჰყავთ ხოლმე ბინაზედ და, როცა გამოიფხიზლებს, იტყვის ხოლმე—არა მაქვსო. საწყალ ბუჭეტის პატრონს ძალა მასთან არ შეუძლიან, რადგანაც მას ყოველსავე შემთხვევაში შეუძლიან უპოვნოს მებუჭეტეს მიზეზი და დაითხოვოს, მეტადრე, რაკი, როგორც თვითონ აღვიარა, მას ჰქონია ნათესაობითი კავშირი მოძრაობის უფროსთან. ეს უკანასკნელი ძლიერა სწყალობს მას და არავითარის ცუდის მოქმედებისათვის არა სჯის.

ჩემი სიტყვები ცხადად მტკიცდება, თუნდ იმით, რომ ამ წლის 19 იანვარს, ორი ჰასაკირის მატარებლები ერთსა და იგივე რელსებზედ იყვნენ გაშვებულნი და რაღაც უხილავმა ძალამ არ მოინდომა დაღუპვა შიგ მჯდომი ჰასაკირებისა და ძლიერ მუყაითმა მაშინისტებმაც მოასწრეს გაჩერება, თორემ ყველანი უფსკრულში ჩაცვივდებოდენ. სტანციის უფროსი იმ დღეს უგრძნობლად მთვრალი ბრძანდებოდა; ამაზედ იყო დანიშნული გამოძიება, მაგრამ ნათლიმამობის წყალობით მოისპო.

არ იქნება ურიგო, რომ რკინის გზის გამგეობა და მისი კონტროლიორები ამ გვარს პროტექციობას თავს დაანებებდენ და სამძიმო ალაგებზედ იმისთანა პირებს არა ნიშნავდენ, რომელნიც მზად არიან თავიანთ კერპსბახუსს შესწიროონ მატარებლებიც, ჰასაკირებიც და ხშირად თვით თავიანთი სიცოცხლეც.

მგზავრი.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ საგენტოსი“)

27 აპრილს.

სევასტოპოლი. აქ მოვიდა მარსელიდამ პირველი ცეცხლის-გემი ტვირთით, რომელიც მოსკოვშია წასაღები; ამით იმართება პირ-და-პირი მისვლა-მოსვლა მოსკოვისა ხმელთაშეა ზღვის პორტებთან სევასტოპოლზე და ხარკოვზე.

შანხაი. ლი-ზუნგ-ჩანგმა გაუგზავნა ჩინეთის დედოფალს წერილი, რომელშიაც ამტკიცებს საფრანგეთთან დაუყოვნებლივ მორიგების საჭიროებას; დედოფალმა მოუწოდა სახელმწიფო რჩევას და პრინცს ჩუნს ამ საქმის განსასჯელად; რჩევამ ერთხმად უარჰყო ლი-ზუნგ-ჩანგის პოლიტიკა.

ბერლინი. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მეშვიდრე

ცესარევიჩს ებოძა ორდენი შავის არწივისა.

აქ მოვიდა ინკოგნიტოდ ბულგარიის მთავარი ალექსანდრე,

როდესაც რეიხსტაგში სჯა იყო სოციალისტების შესახებ კანონის განგრძობაზე, თავადმა ბისმარკმა გამოაცხადა, რომ განსაკუთრებული კანონი მხოლოდ მაშინ აღარ იქნება საჭირო, როდესაც მუშებს სამუშაო ექნებათ და ავადმყოფობის და სიბერის დროს შემწეობარამ მიეცემათ; ამასთანავე ბისმარკი თხოულობდა, საჭიროა მალე შესრულდეს ეს საქმეო და ამბობდა, რომ თუ რეიხსტაგი უარჰყოფს სოციალისტების შესახებ კანონს, მმართებლობა ახალს პარლამენტს მოუწოდებს და თუ ისიც უარჰყოფს ამ კანონს; მაშინ მმართებლობას ყოველივე ბრალი აეკრებაო. ბაასი ხვალამდინ გადასდეს.

ყაირი. კოროსკოში და დონგოლში საქმე კარგად ვერ მიდის; ადგილობრივი მცხოვრებნი მშვიდობიანად არ არიან და აქაურ ციხეთა სუსტთა გუშაგთა გასაძლიერებლად ჰფიქრობენ ეგვიპტის ჯარები გაგზავნონ.

28 აპრილს.

პეტერბურგი. ახალი სესხის აღების დროს ერთი გირვანქა სტერლინგი 9 მან. 81 კაპ. კრედიტის ბილეთად ირიცხება.

ბერლინი. თავადმა ბისმარკმა გუშინდელს სიტყვაში წარმოსთქვა; ჯერ კიდევ 1881 წელს იმპერატორმა აღძრა ლაპარაკი იმაზედ, რომ მეფეთა მკვლელების წინააღმდეგ ხალხთა შორებრივი ზომები ყოფილიყო მიღებული. დავაწყეთ ამაზედ მოლაპარაკება რუსეთთან, რომელმაც ითავა ეს საქმე და კონფერენციის გამართვა მოიწადინა. ავსტრიამ ჯერ მიიღო ეს წინადადება; საფრანგეთი დაყაბულდა კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზედ, თუ ინგლისიც თანხმობას გამოაცხადებდა. მაგრამ ინგლისმა უარი სთქვა და მის შემდეგ უარი სთქვა ავსტრიამაც. ამ გვარად დარჩნენ მარტო გერმანია და რუსეთი.

მასუკან ბისმარკმა პასუხად უთხრა ზოგიერთა ოპოზიციის ორატორებს, რომელთაც რუსეთზედ ლაპარაკი ჩამოაგდეს, რომ რუსის მუშები დიდად ერთგულნი არიან რუსეთის ტახტისა და ნიჰილისტები ყოველთვის სწავლა-დაუსრულებელ სტუდენტებ შორის გამოდიოდენ ხოლმეო.

მადრიდი. სენატში ამორჩევები სამინისტროს გამარჯვებით გათავდა. 240 სენატორში მხოლოდ 90 ეკუთვნის ოპოზიციას.

«დროების» ფოსტა.

ს. რ.—ირს ნ.—ძეს. არ გვახსოვს, რაზედ იყო თქვენი კორესპონდენცია, რომ შეგატყობინოთ მიზეზი დაუბეჭდველობისა. იქნება, მართლა არ მიგვიღია, არც ეს ვიცით.

განცხადებანი

ამიერ-კავკასის პრიკაზი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1880 წლიდგან დაწყობილი ვიდრე სექტენბრამდე 1883 წლისა ვადაგასული დაგირავებული ნივთნი ე. ი. ვერცხლი, ოქრო და ძვირფასი სამკაულნი ამ წლის მაისის 5 თიდგან ვაჭრობით იქნებიან გასყიდულნი შაბათობით. ამისთვის სთხოვენ დამგირავებლებს დაიჩქარონ ან გამოსყიდვა, ან ხელახლა დაგირავება.

(3—2)

ინგლისური რკინის პროტეები



ერთის სწოლი 7 მანეთიდგან და ორის სწოლი 14 მანეთიდგან, მთიელებები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, კიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, ბრისსპანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყალ, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკეები, სამარილეები, გარჩიტის საფხეკები, უნაგირები კატისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიუები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩუქჩები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჯურჯელი, მურაბები, კამფეტები, ბიგულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ.

ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—4)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |